სტუ. არქიტექტურული უზრუნველყოფის
დეპარტამენტი

ქ. თბილისში, მ.კოსტავას ქ. 68-ში, ს.კ. 01.10.17.041.016,
მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-
ნაგებობების რეკონსტრუქცია.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი.

დეპარტამენტის ხელმძღვანელი: /ზურაბ ტიტვინიძე/

დაამუშავა: /ლ. მექვაბიშვილი/

ქ. თბილისი 2018 წ.

შინაარსი.

I – განმარტებითი ბარათი.

1. საერთო ნაწილი
2. სარეკონსტრუქციო შენობები და მიმდებარე ტერიტორია
3. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
4. სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხანგრძლივობის დადგენა
5. უსაფრხოების ტექნიკა
6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი.

III – გამოყენებული ლიტერატურა.

IV – სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების გრაფიკი.

გრაფიკული ნაწილი (მოპ-1,მოპ-2).

I – განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი.

ა. სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის დამუშავების საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:
   – სამუშაოების რაიონის სიტუაციური გეგმა;
   – აზომვითი ნახაზები;

ბ. პროექტის შედგენის წინ მოხდა შენობების, ეზოს, მთლიანად ტერიტორიისა და მიმდებარე ქუჩების დათვალიერება დაშლის პირობების შესწავლითა და გაანალიზებით.

ც. სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

2. სარეკონსტრუქციო შენობები და მიმდებარე ტერიტორია.

წინამდებარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი ითვალისწინებს მ.კოსტავას ქ.68-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის ორგანიზაციას. ტერიტორიის საერთო ფართი, სადაც არიან განლაგებულნი სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობები საკადასტრო რუქის მიხედვით შეადგენს 30383,00 მ^2.

ამჟამად ნაკვეთზე არსებობს სხვადასხვა ზომის და ტიპის 3 შენობა - ნაგებობა, რომლებიც ექვემდებარებიან რეკონსტრუქციას.

შენობა-ნაგებობა №1

შენობა წარმოედგენს ორსართულიან ნაგებობას, რომელიც ნაშენებია თეთრი სილიკატური აგურით. გადახურვა - ანაკრები რკინა-ბეტონის ფილები, დაფარული ამორტიზირებული რულონური მასალით. შენობას გააჩნია ლითონის კარ-ფანჯრები და გისოსები.
ნაგებობის მაქსიმალური ზომებია გეგმაში 27,01X7,56 მეტრი, სიმაღლე მიწის დონიდან 7,6 მეტრი.

ნაგებობის საერთო ფართი – 408,4 მ2

სარეკონსტრუქციო მოცულობა – 1551,9 მ3

შენობა-ნაგებობა №2

შენობა ნაგებობა წარმოედგენს ავტოფარეხებს, რომელიც ნაშენებია შერეული მასალით: ბლოკი, რკინა/ბეტონი და რკინის კონსტრუქციები. შენობის სახურავი ბრტყელია,დახურული შიფერით. შენობას გააჩნია ლითონის კარები.
ნაგებობის მაქსიმალური ზომებია გეგმაში 26,6X8,2 მეტრი, მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან 4,4 მეტრი

ნაგებობის საერთო ფართი – 216,4 მ2

სარეკონსტრუქციო მოცულობა – 904,8 მ3

შენობა-ნაგებობა №3

შენობა წარმოედგენს ერთსართულიან დამხმარე ნაგებობას, რომელიც ნაშენებია შერეული მასალით: ბლოკი, რკინა/ბეტონი და ლითონის კონსტრუქციები.
შენობა გადახურულია ნაწილობრივ ლითონის კოჭებით, დახურული ლითონის ტალღოვანი ფურცლებით, ნაწილობრივ – საწარმოო დანიშნულების რკინა-ბეტონის ფილებით. შენობას გააჩნია ხის კარ-ფანჯრები.
ნაგებობის მაქსიმალური ზომებია გეგმაში 10,77X3,9 მეტრი, სიმაღლე მიწის დონიდან ცვალებადია 2,4 და 2,86 მეტრი.

ნაგებობის საერთო ფართი – 42,0 მ2

სარეკონსტრუქციო მოცულობა – 110,82 მ3

სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობების საერთო ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები.

სარეკონსტრუქციო შენობების საერთო ფართი – 666,8 მ^2
სარეკონსტრუქციო შენობების მოცულობა – 2567,52 მ^3

3. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია არსებული საინჟინრო ქსელების, კომუნიკაციებისა და კაბელების ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ.
სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია ექსკავატორის ბულდოზერის ფარით მეშვეობით, ხელით სანგრევი ჩაქუჩის მეშვეობით.
რკ/ბ. კონსტრუქციების რეკონსტრუქცია მიმდინარეობს შემდეგი თანმიმდევრობით:
– გადახურვის ფილების დემონტაჟი
– სარტყელების და რიგელების დემონტაჟი
– სვეტების დემონტაჟი
შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია ხდება სამშენებლო სამუშაოების საპირისპიროდ, ზემოდან ქვემოთ.
სამუშაოების განხორციელება მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით:
ა. მოიხსნას სახურავის საფარი.
ბ. მოიხსნას შენობის პარაპეტი.
გ. დაიშალოს გადახურვის კონსტრუქცია.
დ. შიდა კედლებზე მოეწყოს ხის ხარაჩოები ჭერის და აგურის კედლების დასაშლელად.
კატეგორიულად აიკრძალოს რეკონსტრუქციის დროს სამუშაოების განხორციელების ფრონტის ქვემოთ ყველანაირი სამუშაოს ჩატარება.

4. სამუშაოების ხანგრძლივობის დადგენა

იმის გამო, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხანგრძლივობა სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული არ არის, ხანგრძლივობას ვნიშნავთ ანალოგიური ხასიათის სამუშაოების გამოცდილების გათვალისწინებით – 3 თვე, მათ შორის 5 დღე – მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს სამუშაოთა ფრონტის მომზადება და სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის მოწყობა. დროებითი შემოღობვის მოწყობა საჭირო არ არის, რადგან ტერიტორია უკვე შემოღობილია ნაწილობრივ ბეტონის ბლოკებით აგებული კაპიტალური ღობით, ნაწილობრივ მავთულბადოვანი ღობით.

5. უსაფრთხოების ტექნიკა

ა. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშნებლო მოედანზე დაუშვებელია.
ბ. მუშამომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.
გ. სამუშაოების შესრულების დროს საჭიროა СНиП-III-4-80 თავის “უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა.

დ. სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის დროს მოხდეს ანაკრები მზიდი კონსტრუქციების შეუღლების კვანძების შემოწმება, და მხოლოდ შემოწმების შემდეგ მოხდეს კედლების დაშლა.
კატეგორიულად აიკრძალოს რეკონსტრუქციის დროს სამუშაოების განხორციელების ფრონტის ქვემოთ ყველანაირი სამუშაოს ჩატარება.

6. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი

ა. სამუშაოების დაწყება დაიშვება ქ. თბილისის არქიტექტურული სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.
ბ. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.
გ. სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით და ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანების ძარებში.
დ. სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი მტვრის შემცირების მიზნით მშრალ ამინდში ტერიტორია მოირწყას, ხოლო სამშენებლო მასალების ტრანსპორტირება მოხდეს დახურული ან ტენიანი ავტოტრანსპორტით.

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

№	დასახელება	მარკა	რაოდ. ცალი
1.	ექსკავატორი ბულდოზერის ფარით	R140LC-7	1
2.	"ბოლგარკის" ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	4
3.	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	კომპლ.	5
4.	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1
5.	სანგრევი ჩაქუჩი	–	2
6.	ავტოგენური საჭრელი აპარატი	კომპლ.	2
7.	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	სხვადასხვა	2
8.	ჩასაბმელი სამარჯვეები	კომპლ.	2
9.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპლ.	5
10.	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით 1X2X2 (H)	ცალი	6
11.	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	ნპ-4602	2
12.	პერფორატორები	პ-47	2

13.	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	ტპ-66ე	2
14.	ვიბროსამსხვრევი	ც-47614	2
15.	ელექტრომაგნიტური ბურღი	კომპლ.	1
16.	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები	–	3
მითითებები: რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობა შესაძლებელია შეიცვალოს ანალოგიური ან უფრო თანამედროვეთი.			

III – გამოყენებული ლიტერატურა

СНиП III-4-80 Техника безопасности в строительстве
СНиП 3-02-01-87 Земляные сооружения
СНиП 1-04-03-85 Нормы продолжительности строительства и задела в строительстве предприятий зданий и сооружений
СНиП 3-01-01-85 Организация строительного производства
СНиП РН-73 Расчетные нормативы

სარეკონსტრუქციო სამუშაოების გენგეგმა მ. 1:1000



ექსპლიკაცია

1. სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა
2. სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა
3. სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობა
4. ექსკავატორი
5. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი (კონტეინერი)

პირობითი აღნიშვნები

- სარეკონსტრუქციო ობიექტი
- დროებითი შენობა-ნაგებობა

	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტი ელ. ფოსტა: gtu.archdep@gtu.ge ტელ.: +995 (032) 2 365143			მ.კოსტავას ქ. №68 I სასწავლო კორპუსი				სარეკონსტრუქციო პროექტი					
თბილისი 2018 წ.	დეპარტამენტის უფროსი	ზურაბ ჭიტვინიძე არქიტექტურის დოქტორი პროფესორი		პრ. ავტორი		ხელმოწ.		ნახაზი	ფოპ-1	სულ	2	სტადია	თარიღი
				დაამუშავა	ლიანა მექვაბიშვილი	ხელმოწ.		შეასრულა				არქ. მდ.	

სარეკონსტრუქციო სამუშაოების სამონტაჟო სქემა მ. 1:200



მუხლუხა საბალიანი ექსკავატორის
R-140 LS-7 Hyundai

მობრუნების სიჩქარე 13,6 ბრუნვა
წუთში
ისრის სიგრძე 4.6 მ
ჩამჭის მოცულობა 0.58 მ3
გათხრის გეომეტრიული
პარამეტრები მაქსიმალური რადიუსი
8.34 მ
მაქსიმალური ჩაღრმავება 5.6 მ
გათხრის მაქსიმალური სიმაღლე
8.52 მ
ჩამოტვირთვის მაქსიმალური
სიმაღლე 6.08 მ
მინიმალური მობრუნების რადიუსი
2.62 მ

თბილისი 2018 წ.	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურული უზრუნველყოფის დეპარტამენტი ელ. ფოსტა: gtu.archdep@gtu.ge ტელ.: +995 (032) 2 365143			მ.კოსტავას ქ. №68 I სასწავლო კორპუსი				სარეკონსტრუქციო პროექტი				
	დეპარტამენტის უფროსი	ზურაბ ბიტვინიძე არქიტექტურის დოქტორი პროფესორი		პრ. ავტორი		ხელმოწ.		ნახაზი	მოპ-2	სულ	2	სტადია / თარიღი
				დაამუშავა	ლიანა მექვაბიშვილი	ხელმოწ.		შეასრულა				არქ. მდ.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების გრაფიკი

სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე										II თვე										III თვე									
	3	6	9	12	15	18	21	24	27	30	3	6	9	12	15	18	21	24	27	31	3	6	9	12	15	18	21	24	27	30
მოსამზადებელი სამუშაოები და დროებ. შენობების მოწყობა	5																													
სახურავების რეკონსტრუქცია							25																							
შენობების მზიდი კონსტრუქციების რეკონსტრუქცია																		58												
ტერიტორიის დასუფთავება და სამშენებლო ნაგვის გატანა																														

დაამუშავა ლ.მექვაბიშვილი